




თეატრი ცხოვრება



ათავადრთ სალიცუბაცურთ ეჟონალო

წ. 11.—1914 წ.

კვირა, 18 მაისი

მის სიკვდილს ჰგლოვს „თეატრი და ცხოვრება“, ვინც თეატრში დაგვანახვა ცხოვრება!..

გ ლ ო ვ ა

(კოტე მესხის ხსოვნას)



† კოტე მესხი

ვინც სამშობლოს საკურთხეველს გრძნობის ტრემლებს აშკურებდა, აღმაფერნით მუსიკობდა, სიუფარუდით მსახურებდა, ვინც უკეთურ სიცილითა ხალხის გულს ნათელს ჰქებდა, საიდუმლო სულის შუებით, სამოთხეში აღაფერნდა,—

ნუთუ მოკვდა? ნუთუ იგი აღარა ჰყავს ქართულ სტენას? მას გუნდრუკი ვინ უგმობს მიწიერთა აღმაფერნას? სიღრცხლის სამსხვერპლოზე აწ ვინ დასწვას გრძნობა-გული, რომ ჩვენს სულში აფეთქოს სიამე და სიუფარული.

მაგრამ არა! არ მომკვდარა მოციქული სიშარტილის, ისევ თავზე დაგვიციმციმებს სხივი, ციურ სინათლის; უკვდავია მისი სახე, უკვდავია მისი სული, უკვდავია ზეცის მადლი, ერის სულში ჩასახული!

მაგრამ, გულო, შენ იტირე, აკუნესდი და აქეითინდი, მოიფინე გლოვის ძას, მოიფინე სეველის ბინდი! დე, დაიწვას სეველი სული, დე გადმოსკდეს ტრემლის ღვარი: აღარა გუყავს ჩვენი კოტე, ჩვენი ძმა და მეგობარი!..

დ. ახვლედიანისა



პოეტა მესხის გარდაცვალების გამო

◆ **ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობამ** დაადგინა: კ. მესხი დაკრძალოს წმ. ნინოს—კუკიის სასაფლაოზე ქართველ მსახიობთა სამართეთა შორის, განსვენებულის კუბო გვირგვინით შეამკოს და დაკრძალვის ხარჯიც იკისროს.

◆ **ვ. გუნიას მეთაურობით** პროვინციაში გამგზავრებულმა დასმა წარმოდგენები შესწყვიტა და 16 მაისს თბილისს დაბრუნდა.

◆ **ალ. ბალ. შიხინოვმა** ქართ. დრამ. საზ. გამგეობას გვირგვინის მაგიერ კ. მესხის სამარეზე დასადგმელ ძეგლის ფონდის შესაქმნელად 25 მან. გადასცა.

◆ **„თეატრი და ცხოვრების“ რედაქციამ** დაადგინა: გვირგვინის ნაცვლად ღარიბ სოფლის ბიბლიოთეკას უგზავნოს ჟურნალი ერთის წლით წ. კ. ს. არჩევით.

◆ **ირ.ევდოშვილის საღამო 22-ისთვის** გადაიდო.

◆ მრავალი სამგლოვიარო დეპეშა მოვიდა.

რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“
მწუხარებით აუწყებს მკითხველებს უხუცეს ხელოვან-მსახიობის

პოეტა მესხის

გარდაცვალებას.

გამოსვენება და დაკრძალვა დღეს.

თბილისის ქართული დრამატიული საზოგადოება მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დამსახურებულ მსახიობის

კონსტანტინე სიმონის ძე მესხის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, კვირას, 18 მაისს, დილის 9^{1/2} საათზე ქვეშეთის ეკლესიაში. მიცვალებულის ბინიდან (პრიუტის შესახვევი № 6). დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

თბილისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა აუწყებს, რომ

ქართველ სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა

შესდგება ქ. თბილისის ქართულს თეატრში კვირას, მაისის 25-ს, 1914 წ., დღის 12 ს.

ყრილობაში მონაწილეობა გადამწყვეტი ხმით შეუძლიანთ:

- 1) ქართ. დრამატ. საზოგადოებათა წარმომადგენელთ.
- 2) ქართ. დრამატ. წრეებისა და ჯგუფების წარმომადგენლებს.
- 3) მსახიობთა და სცენის მოყვარეთ.
- 4) სცენის მოღვაწეთ, რომელიც-კი რამე დამსახურება მოუძღვით თეატრისადმი, ან რამე დამოკიდებულება აქვსთ მასთან.
- 5) მომსესქნებელთ, რომელნიც რამე მოსწენებას წარმოადგენენ პროგრამაში აღნიშნულ კითხვებსზე.
- 6) მუსიკოსთ, მოქანდაკეთა და მსცხვართ.
- 7) დრამატურგებსა და მთარგმნელებს.
- 8) ბეჭდვით ორგანოთა წარმომადგენლებს.
- 9) დრამატულ საზოგადოებათა წევრებს.

უოველი წევრი იხდის: მსახიობნი და სცენის მოყვარენი—1 მან., დანარჩენნი—2 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ პირადათ და წერილობით თბილისის დრამატ. საზოგად. კონტორასთან არსებულს მიმღებ კომისიაში მაისის 20-მდღს.

ამ დრომდისვე მიიღება ყველა მოხსენებანი.



წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან (ს. სლორამანი“-ს სტამბაში). მისამართი: **თიფლის, რედ. „Театри да Цховреба“** **იც. იმედაშვილი.**
ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.— რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

18 მაისი.

საზოგადოებრივ-ზნეობრივი უპასუხისმგებლობა.

აი, რითი ხასიათდება ჩვენებურ ჯგუფთა თუ მესვეურთა უმეტესობის მრწამსი...

ვანა შეიძლება სხვაგან ისეთი თავგასულობა, საკუთარი სინიღისის მხილების მიუყენება, საზოგადოებრივ-ზნეობრივი უპასუხისმგებლობა, როგორც ჩვენშია?!

რითი აიხსნება, თუ არა ასეთი უპასუხისმგებლობით ის ორანტრიალი, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელისა და სხვა მოღვაწეთა გარეშე მოსწარმოებდა? ანუ ის მოვლენა, რომ საყოველთაოდ ცნობილი მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწედ აღიარებული, მთელი საუკუნის სამშობლო მწერლობის უცხო ენაზე მიმოხილვის დროს, ჯგუფური თვალსაზრისით ხელმძღვანელობს, საკუთარ რწმენის მიმდევარ მწერალთ საქვეყნოდ ხოტბით ამკობს და იმავე დროს მათზე უფრო თვალსაჩინო მოღვაწეთ, ხოლო მოწინააღმდეგე ჯგუფის მიმდევართ, არც-კი იხსენიებს?!

ისე დავკანდილთ, რომ საზოგადო, საყოველთაო—კერძოსაგან, სათავისოსაგან ვერ გავგორჩევია, წარსული თუ მომავალი—აწმყო მდგომარეობისაგან და დასური ჟინით გატაცებულნი აღარფრის წინაშე არ ვიხევეთ, ეროვნულ-კულტურულ წმიდაი-წმიდას არ ვინდობთ, ოღონდ მოწინააღმდეგე ბანაკის მწერალთ პირში ბურთი ჩაეჩაროთ, „ხმა ჩავაქმედინოთ“, ოღონდ ბრბოს თვალში თავი ჩვენი უკოდველ პაპად, ხალხისთვის (ჰმ! ხალხისთვის!) საბრალო ხალხო, რა ხშირად სარგებლობენ შენის გულუბრყვილო ნდობით) წამე-

ბულად დავსახოთ, სიმათლის კრთაღვრთ მოცქულად და ჩვენს გარეთად ყოველივე თუნდა მეწყერმა ზილოს...

რითი აიხსნება, თუ არა საზოგადოებრივ დაკნინებით ის, უკაცრაული პასუხი, ლექციები და გამოხვლები, რომლებიც ჩვენში იკითხება და ჰხდება ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ!..

ბატონებო, ნუ თუ აღარავითარ მოკრძალებას, არავითარ პასუხისმგებლობას არა ჰკრძნობთ? ნუ თუ ისტორიის მსჯავრი ოდნავ მაინც არ გავფიქრებთ, რომ ლაშო გაგილიათ, საკუთარ მშაკვარი გულის ნადენბინ საჯარო ბაზარზე გამოგატანიათ და აღარავითარ სიწმინდის შელახვას არ ერიდებით?!

ასეთი უკულმართობა, ქვენა გრძნობებით მოქმედება მხოლოდ ჩვენს ბედურულ ქვეყანაში თუ შეიძლება...

სხვა ქვეყნების იდეურ-დასური ბრძოლა ჩვენში პირად მტრობა-დღენად შეიცვალა.

სხვა ქვეყნების მეცნიერული, დინჯი მუშაობა, ამა თუ იმ საგნის მხოლოდ ჭეშმარიტების თვალსაზრისით რკვევა—ჩვენში გაუთავებელ ლაყბობად, დასურ მიზანთა მისაღწევ საშუალებად და საკუთარ ჭორებით შეხამებულ „წწერლობად“ გარდიქმნა...

და ყოველივეს მაღალ იდეის, მეცნიერულ კრიტიკის, დემოკრატიის გათვითცნობიერების სახელით ხმარობენ...

თუ საქმე გაჭირდა, წინააღმდეგე გამზადებული რედაქციით საპროტესტო წერილები, ასჯერ და ათასჯერ დაღუპილი უწმამური სიტყვები, ლანძღვა-გინება, —აი საბუთი...

და ის კი დავიწყებით, ან არც კი გაუგონიათ, რომ მუშტით არაფერი დამტკიცდება, გარდა გონების უძღურებისა...



კ მ ტ ე მ ე ს ხ ი

არა და არა! მხოლოდ პირადი კინკლაობა-ყინისთვის...

კმარა! მოსპეთ განგაში!.. თქვენს მზაკვრულ ქველში ნუ ჰხვეთ მგზნებარე მოზარდ თაობასა და მუშა-მშრომელ ხალხს, ამ ჩვენნი ქვეყნის იმედსა და სასოებას...

ჩვენი წინმსვლელობისათვის ფრიად დიდი, წასაბაძი გმირებია როგორც დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე და ალ. ყაზბეგი, ისევე გიორგი წერეთელი და ეგ. ნინოშვილი, როგორც აკაკი, ნ. ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე, ისევე ნ. ჟორდანიას, ივ. გომართელი და სხვა მათ მსგავსნი, რომელთაც ხელი შეუწყეს მშობელი ერის წინსვლას...

ამიტომ ხშირად უზომოდ სცოდავენ, როდესაც ერთს ან მეორეს დასურ —ჯგუფურ მიზნით ამცირებენ, ანუ ვითომდა მეცნიერულად აკრიტიკებენ, —ვიმეორებთ ასეთი კრიტიკა, ყოველგვარ შემთხვევაში, არ შეუძლიან არც ერთ არსებულ დასთა წარმომადგენლებს...

ჩვენ გვწამს, მოზარდი თაობა, მუშა ხალხი და გლეხობა, უფრო ფხიზლად უსმედავენ ამ არა-საკადრის ბრძოლას და არ გაეზმიან დემაგოგიურ მიზნით გაბმულ ქსელში...

დაე, მათ შეისწავლონ ყველა ნაშრომი ათვალწუნებულ მოღვაწეთა, საკუთარი გონებით განსაჯონ და ისე დასდონ მსჯავრი, ისე სწეონ საპარტეტო წერილები...

ცრუ მოადღარნი, ვგრავდ-წოდებული „მეცნიერული საბუთებით“ აღჭურვილი „ლექტორნი“, კიდევ მანამდე იპარაზმებენ ჩვენს საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე, ვიდრე ჩვენი ბედკრული ქვეყანა ბნელით იქნება მოცული, —ახალგაზრდობა უკუღმართი, არა ბუნებრივი გზით აღზრდილი და მუშა-მშრომელი ხალხი საზოგადოათ სწავლა-განათლებას და განსაკუთრებით მშობლიურ კულტურის განძთა შესწავლას მოკლებული...

დიდი ხანია რაც თვით სულმნათმა ილიამა სთქვა: „მანამდე ჩვენს ბედშაობას, ჩვენს ერთობას დარღვეულსო!“ სწორედ ამ „დარღვეულ ერთობის“ აღდგენა-გამთვლელბას უნდა ვსცოდინოლობოდეთ კულტურულის საშუალებით, —მადლიან წინაპრების ნაღვაწთა შესწავლით, თვისი თავის ამღლებით, საზოგადოებრივ-ზნობრივ განსაქტაყებით, ჩვენის ქვეყნის საკეთილდღეო საშუალებათა შემუშავებით საერთო ძაღლონით.



† კ. მესხი (1859—1914)

ძაძა გადაეფარა სამშობლო სცენას, აღარა გყავს ნერონის ლეითური შემომქმედი, ნაპოლეონის მაღლმოსილი გამპიროვნელი, პეტრუჩიოს, ფიგაროს, მაქარაშალოს მგზნებარე გამსახიერებელი, ქართულ სახიობის ერთ პირველთავანი მუშაკი...

გარდაცვალა კოტე მესხი... 15 მაისს, ნაშუადღევს 1 საათზე, ფილტვების ანთებით, მცირე ავადმყოფობის შემდეგ, საუკუნოდ დაღუტა მარად მოძრავი თვლები, შეაჩერა მრავალმეტყველი სახიერება და ბავენი!..

კოტე შვილი იყო იმერეთში ცნობილი სიმონ მესხისა, რომლის ოჯახი ქართულ ლიტერატურისა და თეატრის კერად შეიქმნა: ამ ოჯახმა გამოზარდა ნეტარხსენებელი სერგეი, ბათუმის ღრამ, სახსის თავმჯდომარე ივანე, ცნობილი მთარგმნელ-მწიგნობარი დათიკო, დამსახურებული მსახიობქალი ეფემია და სხვა მათი და-ძმანი, ამა თუ იმ საზოგადო ასპარეზზე დეაწლ-მოსულნი...

კოტე დაიბ. ქუთაისში 1859 წ. სწავლა გიმნაზიაში დაიწყო, შემდეგ თბილისის კლას. გიმნაზიაში გადმოვიდა, მაგრამ კურსი ვერ დაამთავრა. პირველად ქუთაისში მიიღო მონაწილეობა სცენის მოყვარეთა წარმოდგენაში ვ. აბაშიძესთან ერთად. თბილისში სამუდამო სცენა რო დადფუძნდა, დასში კოტეც მიიწვიეს კომიკურ და რეზონიერ როლების სათამაშოდ. 80-იან წლებში საზღვარ გარედ გაემგზავრა ორ გზის, სადაც (განსაკუთრებით პარისში) ზედმიწევნით გაეცნო გამოჩენილ მსახიობთა, სცენას, სახიობას, ევროპიულ რეპერტუარს, იქიდან პიესები ჩამოიტანა, ზოგი თითონ გადათარგმნა, ზოგი დაე. ერისთვის გადმოათარგმნია, დაიწყო მათი დადგმა და ამ დროიდან დრამატულ ამპლუის როლებების თამაშს შეუდგა, თუმცა თვით ამპლუა არა სწამდა: „აქტიორმა ყველა რაღა უნდა ითამაშოს... გუშინ სხვა იყავი და დღეს კი სხვა უნდა იყო, აი მამან გამაჩნდებო შენი ნიჭი და უნარიო!“ ასწავლიდა ახალგაზრდა მსახიობთ და ამ მცნებას, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ასრულებდა: დღეს რო ნაპოლეონი იყო, ხვალ პეტრუჩიო, ზეგ



მაქარაშვილი, მაზვე ფიგარო, ნერონი და სხ. სამავალითო ოჯახში დაბადებული და „დროების“ წრის (ს. მესხის, ილიას, აკაკის, დ. ერისთავის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის) გავლენით აღზრდილი კოტე სიყრმიდანვე შეუდგა სამშობლო სცენასა და მწერლობის სამსახურსა და სიკვდილამდე, თითქმის ორმოცი წელიწადი, მხნედ მუშაობდა როგორც მსახიობი, ანტრეპრენიორ-რეჟისორი, პიესების მთარგმნელ-გადმომკეთებელი და სხ.

1884 წ. ქუთაისში მუდმივი ქართული დასი შეადგინა და მია სძირკველი ჩაუყარა წესიერად წარმოდგენების მართავს (მანამდე-კი იქ კანტიკუნტად იმართებოდა), 1887 წ. ნ. გამრეკელთან ერთად საკუთარი თეატრი მოაწყო ქუთაისის შუაგულ ბაღში, მაგრამ ორი სეზონის შემდეგ დაეწვა და თვით თბილისს გადმოვიდა დასის მთავარ რეჟისორად.

მან გამოიყვანა სცენაზე თავისი და ეფემია, ნუკა ჩხვიძე და სხ.

ნათამაშევი აქვს სამასამდე როლი, გადმოკეთებულ-მთარგმნელ ოცამდე პიესა, დაწერილი — მრავალი საოპერუნჯო ფელეტონი დღიურ ჟიურვარამზე და სხ.

1906 წ. „პატარა გაზეთი“-ც გამოსცა; ამ გაზეთში დაბეჭდილ ერთი ლექსის გამო პასუხისგებაში მისცეს და გაზეთიც დაიხურა.

სწერდა იმერულ სცენებსაცა და მოხდენილადაც კითხულობდა.

იყო ენამახვილი, მოსწრებულ სიტყვა-პასუხიანი, კილოიანი მოსაუბრე. სიტყვა მისი, საზოგადოებრივ ნადიმ-ზეიმებზე წარმოთქმული, მუდამ მოკლე იყო, მაგრამ მრავალ მეტყველი. აი, მაგ. აღლ. სუმბათაშვილის მოსკოვში იუბილზე უთხრა: „შენ უღალატე სამშობლოს, მაგრამ ლალატი „ლალატივიე“ გამოისყიდეო!“ ასეთივე მოსწრებული სიტყვა უთხრა რუსეთის გამოჩენილ მსახიობქალს ერმოლოვისას, რომელმაც თავის ღროს დიდი აღტაცება გამოიწვია, კ. ბალომონტს (იხ. დღევანდელ №-ში) და სხ.

მადლიერმა სამშობლომ 1910 წ. გაუმართა 30 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე, როგორც დედა-ქალაქში, ისე დაბა-ქალაქებში.

სრულიად მოულოდნელი იყო სიკვდილი მისი და ამას თვითონაც ხომ არ იგულებდა გულში: რამდენჯერმე ვსთხოვეთ მოგონება დაიწე-

რა, მაგრამ უარობდა — მართალი მასაღ ბევერი მაქვს, მაგრამ რა გვაჩქარებსო, ჯერ კიდევ დავიცადოთ და მერე დავიწყებო. უკანასკნელად დაიწყო „მუთუვე ურითა“-ს თარგმნა, ძლიერ ბეჯითად მუშაობდა, სულ სახარება ედვა წინ და მითი ხელომღვანელობდა, ამ პიესის დადგმასაც დიდის ამბით აპირებდა, მაგრამ უწყალო სიკვდილმა სიცოცხლის ძაფი შეუწყვეტა...

ჯერ კიდევ კარგახანს შეეძლო სამშობლო სცენაზე სამსახური და მიტომაა მისი სიკვდილი დღეს ჩვენთვის გულსაწყული... მის მაგივრობას ჯერ კიდევ დიდხანს ვერავინ შესძლებს...

და ვიდრე ქართული სახიობა იარსებებს, არც კოტეს სახელი წარიხოცება. ქართული თეატრის მოღვაწეთა გუნდში იგიც იბრწყინვებს..

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, სამშობლოს ნამავადარო შვილო, სცენის ღვაწლმოსულო ქურუმო კოტე!..

ი - ი

კ. მესხის უკანასკნელი სამედიო სიტყვა

(კ. დ. ბალომონტის პატივსაცემ ნაღიზე წარმოთქმული)

დღეს გეგებებით დაღუბულ მგოსანს რუსეთის ქვეყნისა... მესხ დადათხილ თავს ჩვენ ვერ მკვირსავთ ხანდას ვგირვეთით, მაგრამ ტუბოდა სიმღერებით, გრძნისაური სიტყვებით დასადგურქელაობით გარს შემოკვეთავთ და ჩვენგან დღეს თავს ვუღარ იხსნათ!

ნუ დაეწვებთ, რომ თქვენ მოსულხართ მგოსანთა ქვეყანაში, — თვითონა სთქვათ: უკვდა გმოჩენილმა მგოსანმა საქართველოს სოტა მესთავა! აგრევე ნუ დაივიწყებთ, რომ შობრძახებულხართ ღვიხის სამეფოებში, — ჩვენში ღვიხა ვერ დაენა, რომ ქვეყნის დასრებიდამ ვსვამთ და ვარდავლეობა; და ბოლოს, თქვენ სამჭყავით თავი უღამასეს ქალთა სამეფოში... მხოლოდ აქ გი წერთადო უნდა დასვს... ქმრების მეშინა! შამ ასე; თქვენ მოსულხართ სიმღერის მსმენთა, ღვიხის მსმელთა და ქალ-მოყვარულთა სამეფოებში...

მაგრამ გუგედრებით, თქვენი ქსარა მოჭმართთ მხოლოდ ჩვენი რუსთაველის დეთური ჰნებებისა და ხელის-ხელ საგოგმანებელ მარჯვლიტ ლექსთათვის... დაე, თქვენმა უოგულ-ვამ მხარულმა, მსუსავით ნათელმა ქსარმა, დაე, თქვენმა ჰენობისამ, თქვენმა დეთურმა ნიჭმა — დიდებულა მგოსანი მატარა საქართველოსა გაგნის უხარ-მხარ რუსეთს! წინდაწინე დარწმუნებული, რომ თქვენი დროშის ქვეშ გავთარჯევთ, ხელთ ვადებ ფათას და ვადვარებ: თქვენი მშვენიერი და სახელოვანი სიტონხლის დღეები გასკვდნენ!..

კ. მესხი



ის. რაზივილი
დატუსაღების გამო

ნოე უორდანია
აუადმეთაფობას გამო

ქართული სყენის მოღვაწეთა

ყრილობის საყურადღებოდ

როდესაც კიათურის თეატრის საქმე მოლონიერდა და ფრთა გაშალა, მის მუშაეთა შორის დაიბადა აზრი სრულიად საქართველოს სყენის მოღვაწეთა ყრილობის მოწვევისა. ჩემი და ჩემის ამხანაგების აზრით ამ ყრილობას უნდა დაეკავშირებინა სამშობლო სყენის მოღვაწენი საზოგადოდ, რათა მკიდრო ორგანიზაციისა და შრომის განაწილების საშუალებით უფრო გაენაყოფიერებინათ თავისი მუშაობა. რამდენიმე წლის წინად თბ.დრ. საზოგ. გამეგობას დეგემითა ვსთხოვეთ, როგორც მახსოვს, ჩოგუვი ასეთი ყრილობა. ახლა ეს აზრი ხორცს იხსავს და რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი სყენის გულშემმატკივარნი ერთად შეიყრებიან. ეს მოვლენა ფრიალ მნიშვნელოვანი იქნება არა მარტო ჩვენი თეატრისათვის, არამედ ჩვენი ერის ცხოვრების სხვა მხარეთათვისაც. ამიტომ სასურველია, ამ ყრილობამ მეტი უნარი გამოიჩინოს და მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს ეროვნული ხელოვნების აღორძინებას.

ყველა მიხვდება, რომ ყრილობის მოწვევა დღევანდელი საქიროებაა, მოთხოვნილება. ჩვენში მრავლად აღმოცენებული სყენის მოყვარეთა წრენი, დრამატიული, ფილოზოფიული და სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოებანი უკვე გრძნობენ ორგანიზაციული თანამშრომლობის საქიროებას და ყრილობას სიხარულით და სასოებით ეგებებიან. მართლაც ადვილი გა-

საგებია ეს მისწრაფება: საქმე გაიზარდა, გართულდა, დიდ უნარს, შრომის მოთხოვნს და მისი გაძლოლა მეტად ძნელი შეიქმნა ცალკე დაწესებულებათათვის. საქიროა შრომის განაწილება და კავშირი. აი რა უნდა განახორციელოს მომავალმა ყრილობამ. ის მრავალი კითხვები, რომელნიც შეეხებიან სათეატრო ხელოვნების თეორეტიულ მხარეს, შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი არიან აწინდელი ყრილობისათვის. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს მტკიცე კავშირის, ორგანიზაციის შექმნას.

და მეც მხოლოდ ამ მხარეს მინდა შევებო.

სასცენო საქმე თავის თავად მეტად რთულია. აქ თავს იყრის ყველა დარგი ხელოვნებისა: პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, სახიობა. თუ ეს დარგები მუყაითად არ თანამშრომლობენ სცენაზე, ისე ყოველად შეუძლებელია სათეატრო საქმის წინ წაწევა. ჩვენი დრამატიული საზოგადოებანი და სყენის მოყვარეთა წრენი ყველანი ცალკალკე მოქმედებენ, ერთმანეთს ვერ ეხმარებიან და ამიტომ სუსტნი არიან; ამასთანავე მათ სცენაზე სამუშაოდ მხოლოდ ერთი ელემენტი გამოჰყავთ-სახელობრ მსახიობი. ხელოვნების სხვა დარგებთან ახლოს არ დგანან და არც მუდმივი კავშირი აქვთ მათთან. აი თუ გნებავთ, ერთი მიზეზთაგანი იმისა, თუ რად კოჰლობს ჩვენი სცენა მუსიკის, მხატვრობის და პოეზიის (ზრით. ჩვენი დრამ. საზ-დოებანი ანტრეპრენიორობის უღელშეშეშულან და მთელ თავის ძალონეს სეზონის გაძლოლას ანდომებენ. ამიტომ მათ საშუალება არა აქვთ შესაფერი ყურადღებით მოეყარან ხელოვნების და დარგებს და მათ განვითარებას ხელი შეუწყონ. ასე თუ დარჩა საქმე, შორს ვერ წავალთ. ყოველი წელიწადი უფერულად, მხოლოდ მოგება-წაგების ანგარიშში გაივლის. მე საზოგადოდ წინააღმდეგი ვარ ამნაირი ანტრეპრენიორობის საზოგადოების მხრით. ეს საქმე უნდა იკისრონ მსახიობთა ამხანაგობებმა და სყენის მოყვარეთა წრეებმა. დრამატიული საზოგადოებანი კი ხელს უნდა უწყობდენ სყენის მუშაეთ: ლიტერატურით, ბინით, მოწყობილებით და სხ. ზოგიერთები კი მარწმუნებენ, ასეთი ანტრეპრენიორობა საქიროა, რადგან უამისოდ დრამატიული საზოგადოება მოკვდ-

ბა, ცოცხალი საქმე აღარ ექნებაო. თუ ეს მართლა ასე იქნება, რაც მე არ მჯერა, დეე; ისევე ისე იყოს, განაგრძონ მათ სეზონების მართვა, ხოლო ამავ დროს შექმნან ისეთი დაწესებულება, რომელიც თავს მოუყრის სცენის ახლოს ხელოვნების ყველა წარმომადგენელთ და მუშაკთ და მით სასცენო ხელოვნების განვითარება, წინსვლა უზრუნველყოყნ.

ასეთ დაწესებულებად, ჩემის აზრით, უნდა იქმნეს „თეატრისა და ხელოვნების საზოგადოებათა კავშირი“(*).

ამ კავშირის წევრებად იქნებიან: 1) დრამატიული საზოგადოებანი, 2) სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოებანი, 3) ფილარმონიული საზოგადოებანი, 4) მხატვართა საზოგადოებანი, 5) სცენის მუშაკთა პროფესიონალური კავშირები, 6) სცენის მოყვარეთა წრეები და სექციები.

ამრიგად აქ მოიყრიან თავს ჩვენში უკვე არსებული ხელოვნების მსახურნი საზოგადოებანი, რომელთაც მკიდრო და განუწყვეტელი კავშირი აქვთ სცენასთან და სათეატრო საქმესთან. რამასთან ხდება შეერთება, კოორდინაცია ყველა ამ დარგებისა და იქმნება მთლიანი, მხატვრული, ცოცხალი სახეები. ამნაირად, ყველა ამ დაწესებულებათა მუდმივი და ახლო თანამშრომლობით, შესაძლებელი გახდება ჩვენი ეროვნული თეატრის და ხელოვნების შესაფერ დონეზე დაყენება.

ამ კავშირის ფუნქციები ადვილი აღსანიშნავია. პირველ ყოვლისა იგი ის კვანძია, სადაც ყველა ზემოდ ჩამოთვლილი, დღეს ცალცალკე არსებული, საზოგადოებანი ერთმანეთს ახლოს, გვერდში ამოუდგებიან. მაშასადამე ესენი ერთმანეთს ახლოს გაეცნობიან და გაიზიარებენ ურთი-ერთის აზრებსა და ნაშრომს. ამავე კავშირში მოიყრის თავს სხვა და სხვა გვარი საშუალებანი და ფონდები; მისი საშუალებით მოაწყობენ და გასწევენ საზოგადოებანი ურთიერთის დახმარებას, როგორც ნივთიერად, ისე ზნეობრივად, რაიც ასე საქიროა ჩვენთვის; კავშირმა უნდა იკისროს საერთო თეატრის და ხელოვნების პერიოდული ორგანოს გამოცემა, რომელიც გამოუმხატველი იქ-

ნება ამ კავშირის წევრთა სულის კვეთების, მათი მუშაობის და საზოგადოდ ჩვენი საერთო ხელოვნების განვითარების. მანვე უნდა იზრუნოს სათეატრო ბიბლიოთეკის გამოცემისათვის, რაიც ასე აუცილებელია. ვინ არ იცის, თუ როგორ ფერხდება წარმოდგენების გამართვა პიესების უქონლობის გამო პროვინციაში! ეს წყლული მალამოს ითხოვს და კავშირის ვალია მოამზადოს იგი მალამო. ამასთანავე სხვა და სხვა გვარი კურსების მოწყობა თუ თეატრის საქიროებისათვის, ლექციების და ექსკურსიების გამართვა, მუზეუმის და თავმესაფარის მოწყობა და სხვა.

როგორც ხედავთ, საქმე ბევრია, ძალიან ბევრი, თანაც მეტად საქირო და საჩქარო. და ამ საქმეს დღემდის არავინ აკეთებდა! როცა ამ ნაკლს ვუკვირდები, ვფიქრობ: როგორღაც სცოვრობდა ჩვენი თეატრი და ხელოვნება მეთქი!?

აღბად ღმერთი გვწყალობს და ჩვენი ერი სიცოცხლის უნარით უზვად არის დაჯილდოვებული! იმედია, დიდი ნაკლი აწინდელი ყრილობისა მუყაითი მუშაობით შეიკვება და საქმეც გამოკეთდება.

რაც შეეხება სცენის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის დაარსებას, ეს აუცილებელია. ყრილობამ ამისთვისაც უნდა იფიქროს და შესაფერი გზა უჩვენოს ჩვენი სცენის მუშაკთ. ჩვენი მსახიობნი და სცენის მსახურნი, იმედია, ადვილად მიხვდებიან ამნაირი კავშირის მნიშვნელობას და შეეცდებიან, რაც შეიძლება, ჩქარა მოაწყონ იგი, რომ შესაფერი წილი დაიდან საერთო კავშირის მოწყობა-მუშაობაში.

დასასრულ სულით და გულით ვუსურვებ მომავალ ყრილობას გამარჯვებასა და ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ქვეყნის ხელოვნების ასაყვავებლად.

ი.ს. ვარაზაშვილი



ქ. ანდრონიკაშვილი
ქიათურის რეისორი
22 მაისის ბუნკეივისის
გამო.



* უფრო შესაფერ სახელს, მგონია, თვით ყრილობა გამოიწვევს.



საფრანგეთის თეატრის „ოდეონ“-ს
გამოჩენილი რეჟისორი ანტუანი

ანტუანის დაბრუნება (საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ანტუანი, დიდებული ანტუანი დამარცხდა, და-
მარცხდა ხანგრძლივი ომის შემდეგ...

ყოველმა არტისტმა იცის ვინ არის ანტუანი,
ან რა დღეა მიუძღვის არა მარტო საფრანგეთის
თეატრის წინაშე, არამედ მთელ ევროპის თეატრის
წინაშე.

ვევლამ ვიცით, რომ ანტუანმა დაარსა თავი-
სუფალი თეატრი (le theatre libre) და მთელი
ევროპა ალაპარაკა. არტისტებმა, თავისუფალ თე-
ატრისთვის, მიიწვიეს სხვა და სხვა სახელმწიფოების
მუშები და მათთან ერთად შექმნეს theatre Antoine,
რომელზეც დღესაც იყო სარკე და მკაცრი ეველს
თეატრებისთვის.

ანტუანმა მთელი ქვეყანა ალაპარაკა თავის
პრეტენზიად დიად მიზანსწინებით, ანტუანმა შექმნა რეა-
ლური თეატრი, ანტუანმა დასდგა ზირგულად იმე-
ნის ზიესები საფრანგეთში, ანტუანმა წასწია წინ
მრავალი არტისტი, ანტუანმა დააყენა გზაზე მრავ-
ალი, დღეს გამოჩენილი, მწერლები: ფრანსუა დე
კოურელ, ჰინრი ბერნეტეინი, რენე ქოშუა და სხვა.
ანტუანმა ადავგინა მკვლარი საფრანგეთის მეორე
თეატრი ოდეონი, რომლის დირექტორად იყო
თაქმის ათი წელიწადი... და ეს ანტუანი დღეს და-
მარცხდა... ეს ანტუანი დღეს გაკორტეპულია ინტ-

ტრიგების წყალობით.
თეატრი ოდეონი, მინამ ანტუანი დირექტორ-
ად დაინიშნებოდა, წარმადგენდა ლატკა, უბრალო
თეატრს. ეს თეატრი ჩვენს თეატრზე უარესს მდგო-
მარობაში იყო. დეკორაციები ამა არა ჰქონდათ,
ზიესები არა ჰქონდათ, არტისტები არა ჰყვნდათ.
მოვიდა ანტუანი და თეატრმა შეიძინა დეკორაცი-
ებიც, ზიესებიც და არტისტებიც.

მთავრობა აძლევდა ოდეონს სუბსიდიას 125,000
ფრანკს წელიწადში. ეს ფული ანტუანს თავის მი-
ზნის მისაღწევად არა ჰყოფინდა. ბევრი იბრძოდა
დიდებულმა რეჟისორმა და მისი ბრძოლა დამარ-
ცხებით გადავიდა.

წარსულ ხანის ანტუანმა ოდეონს თავი დაა-
ნება, რადგან ამ სუბსიდიით ვერას გახდა და მთავ-
რობას-კი მომეტება არა ჰსურდა.

დასრულდა ოდეონს თავი თუ არა, აღმოჩნდნენ
მოგალებიც.

გამორჩევა (თვითონ ანტუანმა აღიარა), რომ
გარდა სუბსიდიის, ანტუანს ვალად დავდო 125,000
ფრანკა. მთავრობა ამ ფულზე უარს ეუბნება და
ანტუანი იძულებულია თავის ვაიბიდან გადახდოს.

მთელი ზარიზი დაპარაკობს ანტუანის საქმეზე.
ბერნეტეინმა ვრცელი წერილი დასწერა გაზეთ
„ჟურნალ“-ში, სიცა აღნიშნავს ანტუანის დავას
და ითხოვს მთავრობისაგან ამ ფულის გადახდას...

მოველ მისს ანტუანს კონფერენსი წაითხა
სახალხო უნივერსიტეტში. კონფერენსზე მრავალი
ხალხი დაესწრო. ანტუანმა დამსწრეთ უამო თაქტ-
ოდეონის მდგომარეობა და თავისი თავდასხვალი დი-
რექტორობის დროს. კონფერენსი გაათავა ამ სი-
ტუაციით: „მართალია, ოდეონს მოგშორდა და ესეთ
მდგომარეობაში ჩავყარდი, მაგრამ სასწარმეყოფიე-
ბას არ ვეძლევი. მოგკვდები ან თუ ოფიციალ ოდე-
ონს არა, თავისუფალ ჩემს ოდეონს ალადაკან“...

ბრავო და Vive Antoine-ის ძახლს ბოლო
დადო ჰქონდა. ჰ. ბერნეტეინმა წარმოაქვა სიტუა-
ცი, რომელშიც იწვევდა ხალხს დაბრუნებას მინისტრატია
გაუმართათ და მოეთხოვათ მინისტრისაგან, ანტუა-
ნისთვის ფული მიეცათ...

სტუდენტები გამოდგომდნენ ქუჩაში Vive An-
toine-ის უვირილით...

ენახით მინისტრი რას იტყვის!..
კონფერენსს დაესწრო: ჰ. ბერნეტეინი, მი-
ნისტრი ბრანი, მწერალი ბრიო და სხვა.

ვევლამ ქუჩა-დიდება უთხრა ანტუანს...
Vive Antoine!

კოჭე მისხი სხვა



ნაპოლეონი



ნერონი



პაატა

კ ი დ ე ვ

(კ. მესხის ხსოვნას)

ერთი სიმი კიდევ გაწყდა
ხელოვნების გრძნეულ ქნარზე.
ერთი ცრემლი კვლავ დაგორდა
დედის ლაწუზე — ცრემლით მქნარზე!..

კიდევ კუბო, კიდევ თალხი,
კიდევ მოთქმა, ცრემლის ზინი,
კიდევ ვარდი, ღიმ — შემქნარი,
კიდევ დაფნა და გვირგვინი, —
საით მიაქვს სიკვდილის ხელს
და უაზრო ბედის წერას, —
ნუ თუ ამით დააყუჩებს
სასიცოცხლო გულის ძვერას?..

თუმც კვლავ შესწყდა ერთი სიმი
ხელოვნების გრძნეულ ქნარსა —
მაგრამ მისი ძველი ხმები
კვლავ მოჰხიბლავს მთა და ბარსა!..

ს. ფაშალიშვილი

ჭ ი მ ნ ი

ვიშ, შენს ხილვას! —
რა ტურფა ხარ,
ჩემი ქვეყნის განთიადო!
აქათქათი,
ალაჯლაქი,
გულ-წითელა ცისკრის ვარდო!

შენს ოქროვან თვალთა ციალს
ეგებება მთლად გარემო;
მზის მგოსანი ზართა წკრიალს
ლოცვად გწირავს, სატრფოვ ჩემო!

ვაშა, ვაშა განთიადო,
საოცნებო, სანავარდო;
გადაშალე
ეგ სიალე,
ცის კოკობო, დილის ვარდო!

ქ. მესხი



დასახვა კოლოზი



პეტრუჩიო



მაკარაშვილი



ნაპოლეონი

ტბას რა ვპითხო...

ბუჩქის გვერდით ტბასთან ვიჯექ, სული ჩემი ჰნეტარებდა.
იქ ველოდი ჩემს დანიშნულს, ვინც ჩემს ბეჭედს ატარებდა.

და წყლის სარკემ დამანახვა სატრფო ჩემკენ მომავალი.
მის გვერდით-კი უცხო ვინმე აგზნებული, ვნებით მივგრალი.

თვით ისინი ვერ მამჩნევდნენ, ისე ვიყავ მყუდრო ადგილს,
მაგრამ მე-კი ნათლად ვსჭვრეტდი მათს გამომკრთალს წყლიდან აჩრდილს.

ვით სარკეში,—ჩემ წინ იდგნენ, ტრფიალებდნენ სულით, ხორკით.
დანიშნულმა მიღალატა და განშორდნენ შემდეგ კოცნით.

ერთხელ ვუთხარ: რა ჰქმენ-მეთქი?... იწყო ცრემლვა, იწყო ფიცი.
იგი დღესაც ბევრს მარწმუნებს და არ ჰგონებს, თუ რამ ვიცი.

ტბას რა ვკითხო? რაც მიჩვენა, უკვე გაჰქრა მისი კვალი.
სატრფო მაინც არ მეშვება: უმანკოა, წმინდა ქალი!

ჩემის სულის ლექსებშიაც იხატება ზოგჯერ სახე.
ნეტამც მასშიც გაჰქრებოდეს ამ ცხოვრების სივალახე!

მ. მანიაშვილი



მეუფე ურიათა

ღრამა 4 მოქ. და 5 სურათად, მის იმპ. უმ. დ. მ. კონსტანტინე კონსტანტინეს ძის, თარ. კ. მესხისა

(დასაწყისი იხ. „თეატრი და ცხოვრება № 8—10“)

გამოსვლა მეთერთმეტე

პროკ. დაღამდა კიდევც, ლაჟვარდ ფერ ცაზე ბრწყინავეს ვარსკლავი. პილატე მელის. დროა წავიდე!.. ეს რა ხმა ისმის? თითქოს გალობენ. სწორედ აქედან მოისმის ხმები...

იოანა. ეგ იესოა, ბეთანიაში თავის მეგობარს უნდა ეწვიოს. ლაზარე თვისი ორისა დითა აქვე ცხოვრებენ!.. იმისი ჰერ ქვეშ მოძღვარს მზათა აქვს ყოველთვის ბინა. იესოს დედაც ამ ჟამ იქ არის და ელის თვის ძეს! დიად, იესოა და თორმეტი მისი მოწაფე. დაევიდის ფსალმუნს გალობენ!..

პროკ. აბა! ჩქარა მონანო!.. გავსწიოთ ჩქარა. ოჰ კიდევ ერთხელ. ნეტაც მეღირსოს იმისი ხილვა?! (მთხებს ზროქუფოსა და იოანა გაჭეუვით. სცენა რამდენიმე წუთით ცარქაფა).

გამოსვლა მეთორმეტე

(მარცხნივ შემოდის ბარნაბე. გალობა მადლა მოისმის*)

ბართ. ძლივს, ძლივს უფალო! კიდევ გიხილავ! თუნდაც სიბნელე გარს მოგვეფინოს. და მოსპოს ხელვა ჩემის თვალთაგან. შენ მაინც ბრწყინავ, დილა მოძღვარო.

*) გალობა იესოს მოწაფეთა:

„ღმერთო! მუფვე სიცოცხლისაო, ისმინე ჩემი ლოცვა გულ-წრფელი!.. ამყვავებულო, ცხოვრებისაო, მომიკალ სევდა სულის დამწველი!.. შევბისა დღენი შორს განმეშორა, ვიტანჯოდი და ვიტანჯვი ახლა: სიკვდილის ხელი მეთანასწორა და ჯოჯოხეთი გულს მოეახლა!.. ვიქმენ ვით კაცი შეუწევნელი, სხვებთან ჩამტყორცნე ხარო-მღვიმეში.“

დაუსრტეტლის ბრწყინვალეობითა. როგორც თვალეობით, ისრე სულითაც ვიყავი მე ბრმა და სასწაული შენ მომავლინე! შენ მომასმინე წმიდა სიტყვანი... გულში ნათელი შენ ჩამიშუქე! ოჰ! მოვედ, მოვედ მესია დილა, დავითისა ძვე! (დაიჩქებეს და ადაზერბოს ხელებს, ახლას, გაღაფანთან გალობა მოისმის. ფარდის ჩამოშვების შემდეგაც).

ფარდა ნელა დაეშვება

მოკმედეზა მორაე

პილატეს სახლში. დიდი იროდეს სასახლის პერისტოლი. ორი კედელი სცენის სიღრმეში უერთდებიან ერთი მეორეს. მარჯვენა მხარეზე ორი კარია. პირველი ახლო მაყურებელთან, შედის სამსჯავრო განყოფილებაში და დახურულია მეთორმეტე გამოსვლამდე. მეორე კარები პილატეს შინა ოთახებში მარცხნივ კედელში. შუაზე ფარდიანი კარი, სასახლიდამ გასასვლელი. მარჯვენა მხარეზე ორ კარ-შუა საუჯრემ და შიგ ქანდაკებანი. კედლების წინ და გასწვრივ ქვის სვეტებია (კოლონადა), რომლებზედაც სახურავია კედლისა და კოლონადას შორის ადგილისა. ეს ადგილი ამაღლებულია სცენაზე ოთხის საფეხურის სიმაღლეზე. სამივე კარებში შეიძლება გასვლა მხოლოდ ოთხ-საფეხურთან მარმარილოს კიბეებით. შუაზე მოზაიკურ იატაკზე ამოყვანილი შადრევანი. სინათლე ჩამოდის ტერიდან, ეს სინათლის სარკმელი თხელი ფარდით აფარდულია. მდიდრული მორთულობა; არდაგანები, მაკიდები, სავარძლები. ქანდაკება მარმარილოსი, ბრინჯაოსი ვაზები ყვავილებით, საკმეველები, სანათები, ხალები, ძვირფასი ფარხა, გათენების ბინდია.

გამოსვლა პირველი

ღია ზის მარტოკა და ვერცხლის დოქის სწმენდს. შემობრბის ალექსანდრე, ალექსეებულო.

თვით ბედი ჩემი მექმნა მდევნელი და სძინავთ ჩემთ წყლულთ ვით სამარეში!.. ჰოი, უფალო! დამხსენ ქვესკენლს! დამხსენ არდილსა ჩემსა მდევნელს! თვალ-ნათელ დღეში ნუ მიმცემ ბნელს! ნუ განმარიდებ მეგობრის ხელსა... მე გლახაკი ვარ უსახლო-უკარო, მავედრებელი, მუხლ-მოდრეკილი; გთხოვ შენი კალთა გადამაფარო და განმიკითხო მე შეცდომილი!..“

თარგ. ბ. ახოსპირელისა



ალექ. ო! ჩემო ოვალის სინათლევ ღია!!
ლია (შაშთ) სუ! ალექსანდრე, ფრთხილად იყავი!
ალექ. არავინ არის! ძვირფასო ღობა,
 ალევებისგან თვალი მთელს ღამეს
 არ დამიხუქავს! ჩვენ სიყვარულსა
 რაღაც აფერხებს, თითქოს ხელს უშლის!
ლია. ჩემო სულის-ღმამე! შიშის ზარს მგვირბან
 შენი სიტყვები, რაშია საქმე?
 მიაბზე ჩქარა!

ალექ. გეთსიმ-ნეთის
 ბაღში ჩვენ გუშინ, შენ კარგათ გახსოვს,
 ვით შეგვაშინეს, მაშინ სხვა ადგილს
 შენ პაემანი ჩვენი დანიშნე.
 იქეთ გასწიე! მეც შორი-ახლოს
 შეუშინეველად მოგდევდი მარად!
 უეცრივ წინ ბრბო ვადამედობა...
 ვიცან ისინი ჩირაღდანთ შუქზე.
 იყენენ მსახურნი დაღ მღვდელმთავრისა!
 ვერ შევამჩნიე, ვინც მათ მოჰყავდენ,
 მაგრამ მე ვიცან რომის მხედარნი.—
 როს მთვარის შუქი იმათ ჯავშანზე
 ეფინებოდა; ხელში კომპლებით,
 ზოგიც დაშნებით მიიჩქაროდენ!
 ოჰ, ლია, ლია? რაისთვის დაგმე
 იოსაფატის ვაკე ადგილნი,
 ანუ რაისთვის ქედრ ონის ხიდთან
 არ დამიცადე?!

ლია. გელოდდი იქა,
 მაგრამ მომესმა ბრბოს ბობოქრება,
 შეშინებული იქაურობას
 მოვსლტი იმავე წამს! ოჰ ალექსანდრე
 რა უნდათ ჩვენგან, რათ არ გვაცლიან
 დავსტკბეთ შეხვედრით ერთმანეთისა?
ალექ. სუ! ჩემო ლია... მგონია სძინავთ.
ლია. ვერ დავივიწყებ წუხანდელ ღამეს!
 მთვარისა შუქი, ზეთის ხილისა
 ბურვილი ჩრდილი, ბულბულთა სტვენა.
 შენთან პრველჯერ სიყვარულზე სჯა.
 ასე მგონია სიზმარიაო!
 (ამთ შეუშინეველად, იოანხა გამოდას
 შესაშე კარებდას).

მაგრამ სრულიად ბედნიერება
 კაცს არ ეწევია! ოჰ, რომ შეგვეძლოს
 მოძღვარს გაუტყუდეთ?! ის კეთილია,
 მწყალობელია, აღერსიანი...
 ჩვენთვისაცა რომ იმან ილოკოს...

და საქორწინო ჩვენ კავშირი
 აკურთხოს.
ალექ. მაგრამ, ძვირფასო ღია!..
 ვით დავიწყე, რომ ქორწინების
 არ აქვთ უფლება მონებს და მხველებს!
 ამ მონობაში შენა ხარ შევბა,
 და ერთად-ერთი ჩემი ნუგეში!
 მადლობელი ვარ წუხანდელ ღამის,
 როს გახაფხულის პირველმა სიომ,
 ნაზად მოგვებერა ტკბილი სიტყვები
 სიყვარულისა და უნებლოეთ
 შიში დავსთრგუნე და აღსარება
 შენ მოგახსენე! არ განმადევე.
 არა მკარ ხელი... ჩემო ღვთაებაც,
 იერიქოს ზაგე, ენგადის ვარდო!!
ლია. სულზე უტკბესო. სარონის ბალის
 ყვავილთა მეფევე.. სწორ-უპოვარო,
 ღობანის ნაძვო!!

გამოსვლა მეორე
იოანხა (შახლდაფება) მშვიდობა თქვენდა...
 ჩემო კარგებო!.. (შაშთ წამოხტე-
 პიან. თენჯება)
 იმედით ტკბებით,
 და სიყვარულმა, ვითა მბწყინავ მზემ,
 ხედვა მოვიპოთ და გადაგრტყუცნათ
 უცნობ ქვეყანას... ოცნების მხარეს!
 (შეინაშავს დოქს და აფაღიერებს)
 რა სიტურფეა... იხ სადა სჩანს
 ღვთაური ხელი ხელოვანისა!
 თუმცა კერპთ-თაყვანის მცემელისა
 აქ სახე არის... მაინც მშვენიერს
 ვეტყვით ჩვენ იმას! გამოსახულა
 აქ ძველი მითი!.. ეს ტრფიალია
 ფრთოსანი ამურ, შეყვარებული!
 ესეც ჰსიქეა, უკვდავი სულით!..
 მე კი რომ მკითხოთ ასე ვიტყოდ.
 ალექსანდრეა და ლია ერთად
 აქ დახატული... ჩემო კეთილია!..
 მესმა ამბავი თქვენი უმანკო
 სიყვარულისა! ეს საიდუმლო,
 თუმც უნებურად, მაინც მოგტაცეთ!
 სამაგიეროთ პროქულოსის ვსთხოვ
 თავისუფლება პილატემ მოგცეთ!!
ალექ. ოჰ, ღმერთს შევედრი შენს დღევრძელება
ლია. უხენავსი თას-წილ გიზღავს!
 ამ სიკეთისთვის!..



იოანნა.

ჩემთ მოძმეთათვის
 ვიურვი მწარედ... ბნელს მონობაში
 ისრაილთ ძენი წყალობენ უღვთოდ
 და კერპთ-მსახურთა მძიმე უღლ ის ქვეშ
 პირუტყვთ. მზავის სახე მათ მიუღიათ.
 მაგრამ თვის სახლში აღმიმანი
 ხომ უნდა იყოს თავისუფალი?
 თქვენ-კი ამასაც მოკლებული ხართ!

(შემდეგი იქნება)



სიყვარული

გიჟმაჟი იყო სიყვარული.
 ისე, ვით ტალღა ზღვისა, მოგორებული
 კლდოვან ნაპირას, გიჟმაჟი ვით ნიავე დილის
 ჟამისა.

გიჟმაჟი იყო, დიად გიჟმაჟი, მაგრამ ოც-
 ნებით გარე მოკული.

ერთხელ, მახსოვს, დილის ჟამისას ზეფი-
 რის ლალ ფრთებით ჩამომიქროლა, გამომი-
 ცქრიალდა წინ და მოციალე თვალვებით ჩამო-
 მაშტერდა, რამდენი აღმგზნები ცეცხლი ცია-
 ლებდა მაშინ იმ თვალვებში, ბჭყყერალებდა
 ისე, ვით კაცთ თვალთავან უხილავი მარგალი-
 ტი ზღვისა ფსკერისა.

სიყვარულის ბურუსში მხვევდა, მავიწყებ-
 და ჩემს არსებობას... და ამავე დროს ცელქი
 ნიავე, ნაზი აღერსით, თავს დაგვფარფატებდა,
 ყელს თვის ფრთებს გვხვევდა, გვესიასამურებოდა.
 ტკბილი იყო ის სიყვარული, ტკბილი
 იყო თვით ნიავეც-კი...

გიჟმაჟი იყო, იფურჩქნებოდა, ახლად
 ჰყვავოდა, ახლად გვაძლევდა სულ სხვა გვარ
 გრძნობებს.

თვით ამურიც კი, ცელქი ღმერთი სიყვა-
 რულისა, გვესროდა ისრებს, მახვილ ისრებს
 სიყვარულის ნექტარში ამოვლებულთ, შორით
 გვჭკვრეტდა, შორით გვიღიმიოდა...

გიჟმაჟი იყო სიყვარული, გიჟმაჟი მაგრამ
 ტკბილი კი.

ახლა კი გაჰქრა, დრომ წარიტანა სიყვა-
 რული.


გაჰქრა მასთანვე ბედნიერება.

გაჰქრა სიყვარული, გიჟმაჟი, ცელქი; მის
 მაგივრად ხელთლა დამრჩა დამჰქნარი ვარდი..
 აღარ მცწვია მსუბუქ ფრთებ-მესხმული;
 თვით ამურმაჟი დაიშურა ნექტარში ამოვლე-
 ბული ისრები.


გაჰქრა ისე, ვით მოჩვენება.

ვიჰმაჟი იყო და გაიარა ისე გიჟმაჟად.
 ახლა მხოლოდ ხელთ დამრჩა დამჰქნარი
 ვარდი, ვარდი დამჰქნარი...

ნ. კეცხოველი



სომეხთა კულტურული დრესისწაული



საიათნოვას ძეგლი

ხუთშაბათს, 15 მაისს, სომხურ სიტყვა-
 კაზმულ საზოგადოების თაოსნობით თბილისში
 თათრის მოედანზე, სურფ-გეურჯის ეკლესიის
 გალავანში აკურთხეს აშუღის - სახალხო მო-
 ლექსე-მომღერალის საიათნოვას ძეგლი.

ძეგლის კურთხევას დიდძალი ხალხი დაე-
 სწრო, იყენენ თბილისის ხელოსანთა ჰამპერები,
 სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებათა წარ-
 მამადგენენი, — ქართველთაგან დრამატიულ
 საზოგადოებისა, ჩვენი რედაქციისა და სხ.

ბევრი შინაარსიანი სიტყვა ითქვა.

(დაწვრილებით შემდეგ ნომერში)



მსახიობი ვიქტორ მატარაძე

(ავადმყოფობის გამო)

ღავეხმარო!

(ვ. მატარაძის ავადმყოფობის გამო).

რა სავალალოა, როდესაც ჰკითხულობ ქართულ-რუსულ გაზეთებში ქართული სცენის მსახიობის ვ. მატარაძის უნუგემო მდგომარეობის შესახებ და ამავე დროს არსაიდან შევლა — თანაგრძნობის ხმა არ გესმის.

ვ. მატარაძე თითქმის ათი წელიწადი ემსახურებოდა ქართულ სცენას, დღეს-კი მძიმე ავადმყოფობის გამო ჩამოშორებულია სამშობლო სცენას. იგი მსხვერპლია შიოგვისეულ სახლის ჩამონგრევისა და ქალაქის თვითმართველობა, მიუხედავად თავისივე გარდაწყვეტილებისა, უგვიანებს ყოვლად გაჭირვებულ ადამიანს ფულს (სტეგებს კი მისცა). ასეთმა უყურადღებობამ კი ლოგინად ჩააგდო ამ ერთ წლის წინად ენერგიით, სიცოცხლით სავსე, უზრუნველყოფილი ადამიანი.

მთელი წელიწადი ავადმყოფობა, ექიმობა, წამლობა, ოჯახის შენახვა, — ყველა ეს ითხოვეს აუარებელ ხარჯს, რომლის ატანა არამც თუ დაავადმყოფებულს, არამედ კარგად მყოფსაც არ ძალუძს. ამ ჟამად იგი დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის, რაიც უფრო ართულებს და ამწვევებს მის ავადმყოფობას, დახმარება-კი არსაით უჩანს... საჭიროა დახმარება, რათა ჩვენს სცენას არ დაეკარგოს, ჯერ კიდევ ახალგაზდა, სასარგებლო მუშაკი.

ჩვენი ზნეობრივი ვალია, შეძლების-დაგვა-

რად დავეხმაროთ. დაე, მისი პირდაპირი მოვალეობითუ გაგულქვაგებულან, ჩვენ მაინც შევეწივნეთ...

ამასთანავე გიგზავნით მსახიობ ვ. მატარაძის გადასაცემად, ქართველ მოსწავლეთა შორის შეკრეფილს ხუთ მან.

ქართველ მოსწავლე ახალგაზღობის
დავლებით გიორგი მალრაძე

P. S. ვთხოვ ჩვენს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

გ. მ.



გოლდაზ იარკიანსი

მშვიდი, წყნარი ღამე იყო. ნათელი მთვარე დაჰკაშკაშებდა ასიერიელებისაგან აოხრებული სივრცის მიმართ. იერუსალიმი, განთქმული თავისი სილამაზით, ახლა ნანგრევთა ხროვას წარმოადგენდა. აქა-იქ თუ მოსჩანდა ობლად განადგურებას გადარჩენილი სახლი, მაგრამ ისიც ბეჩავად გამოიყურებოდა ამ ნანგრევთა შორის. ქალაქის კედლის ნანგრევებზედ, საიდანაც მოსჩანდა მთელი იერუსალიმი, იჯდა იერემია წინასწარმეტყველი და მწარედ სტიროდა.

მის გარშემო სამარისებური სიჩუმე იყო გაიმეფებული. ღამის მესაიდუმლე ბუღბუღო თუ დაარღვევდა ამ სიჩუმეს, როდესაც, სვვისი უბედურების შემხვედვარე, ვეღარ იმაგრებდა აჩუყებულ გულს და თავის და უნებურად არა ნაკლებ გულსაკლავად ააწყრივდა ნაღვლიან მხას. ან არა და, როდესაც თვით ბუნება ვეღარ უძლებდა თავისი შობილის — ადამიანის ტანჯვას, ერთს ნაღვლიანად ამოიხენებდა და იქვე მღვარ ბზას და ლღვინარს ააშრივლებდა.

იერემიას მოაგონდა თავისი სამშობლოს წარსული დიდება. გაახსენდა ის დღე იელოვამ რომ მოუწოდა მას სამშობლოს სახსენლად, ის უძილო ღამეები და ტანჯვის დღენი ქალაქიდან ქალაქს, სოფლიდან სოფელს რომ დადიოდა და აფრთხილებდა ებრაელთ, რათა გადერჩინა საყვარელი სამშობლო განსაცდელი-საგან. მან ბევრი აფრთხილა ებრაელნი, მაგრამ არ დაუჯერეს, არ უგდეს ყური და განრისხებულმა იელოვამ დასაჯა ისრაელი. მისი სამშობლო, ერთს დროში უძღვევლი ურია-



სტანი, „ჩრდილოეთიდან“ მოსულმა მტერმა მთლად ააოხრა, ხალხი ტყვედ წაიყვანა, ქალები გააუპატრონა, თვით იეღოვას ტაძარცკი შეპბილწი. გული უწუხდა ყოველივე ეს რა მოაგონდებოდა და გულსაკლავად ქვითინებდა. არავინ იყო მისი მანუგეშებელი. მარტო ცივი, მიუდგომელი მთვარე და მოციმციმე ვარსკვლავნი მხიარულად დაჰკაჰკაშებდნენ, თითქოს ეუცხოვერობდათ ადამის ძის ასეთი ტანჯვა. იერემიამ ივრძნო მთვარის და ვარსკვლავთა განცვიფრება და მიჰპართა მათ, რომ ეგრძნობინებინა თავისი გულის დარდი. ისინი მიჰხვდებოდნენ მის გულის თქმას, რადგან ისინი იყვნენ მოწმენი ურიასტანის წარსულ დიდებისა.

„შეხედეთ, მოსტქვამდა იერემია, ვითარ დაჯდა მარტოდ ქალაქი გამრავლებული ერითა, იქმნა ვითარც ქერივი. მმთავრობა სოფლებსა შორის იქმნა მოხარკე, ყოველნი ბქენი მისნი უჩინო ქმნულან და მტერნი მისნი მეფობენ. წარვიდა ასულისაგან სიონისა შეწვიერება მისი. ყოველთა ზადიდებელთა ისრაელთა უპატროვო ჰყვეს იგი, რამეთუ იხილეს უშვერება მისი და თვით იგიცა სულთ ითქმიდავე და უკუნ იქცა მართლ უკუნ, დაცა იგი საციროლად. ამას ზედ მე ვტირ, თვალმან ჩემიან დამოადინა წყალი“.

მერე მუხლ — მოდრეკილმა ყოვლად შემძლე იეღოვას შეჰლაღადა: „მოიხსენე, უფალო, რაი გვეყო ჩვენ: სამკვიდრებელი ჩვენი ვადიქცა სხვათად, სახლნი ჩვენი უცხოთად. ობოლ ვიქმენით, ვითარც არქონელნი მამისა, დედანი ჩვენი ვითარცა ქვრივნი. მონანი გვეუფლნენ ჩვენ დახსნა არა არს ხელისაგან მათისა, დედანი სიონსა შინა დაამდაბლეს და ქალწულნი ქალაქთა შორის ვაბრწნეს, რჩეულნი წისქვილთა შინა ფქვიდეს და ქაბუკნი ჯვარს აცვეს. დაირღვა სიხარული გულისა ჩვენისა, გარდაიქცა გლოვად მწყობრი ჩვენი. ხოლო შენ, უფალო, რაისთვის ძლევად დავგივიწყენ ჩვენ? მოგვაქციენ ჩვენ შენდა მიმართ უფალო და მოვიქცენ და განაახლენ დღენი ჩვენი ვითარცა წინასწარი. გვეყო რისხვა შენი, იეღოვი! რამეთუ ვაპრისხენ ჩვენზედა ვიღრე ფრიალ?“

გაათავა იერემიამ ვედრება და სასოებით

თვალეები ცას მიაპყრო, თითქოს ელოდდა სუსხს. მაგრამ ვარშემო წინანდებური სიხუმე სუფუჟა და მოკაშკაშე მთვარედ და ვარსკვლავნიც ისევე ისე მხიარულად დაჰქურებდნენ იერემიას...

ლევ. გარსიაშვილი



ქართული სახალხო თეატრის ისტორია

(დასაწყისი იხ. „თ. და ც.“ № 10)

ჟერ კიდევ 1881 წელს შესდგა სტენის მოუყვართა წრე შაქრო საფაროვის ოასნობით. ამ წრემ განზრახა კერძო სახლებში წარმოდგენების მართვა და რამდენიმე წარმოდგენის განმართა, რასაც აუარბიელი ხალხი დაესწრო.

წარმოდგენებში იმართებოდა შემდეგ ადგილებში: აბასათის მოედანზე წოფიანოვის სახლში, შანშაშვილების სახლში, კოლდრთაძეში, კეზარხისის მოედანზე ზანარბეგოვის სახლში, ორბელიანის ქუჩაზე ზურაბიშვილის სახლში, მთაწმინდაში, გეორგისკოვის ქუჩაზე ეპიტაშვილის სახლში, ოქროშქედლების ქუჩაზე ყარაშვილის სახლში, ჰეტრე უმიკაშვილის სახლში, ახნასტის ზირდაზირ ჩომასოვის სახლში და სხ.



გ. მ. გამყრელიძე

ს. მ. საფაროვი

სტენის მოყვართა წრე შემდეგ ზირთაგან შესდგებოდა: ქ-ნი ბაკატელოვის ქაღნი — ორავე დანი, მამო ჟავახაშვილი; ბ-ნი შაქრო საფაროვი, გიგო გელიკურაშვილი, სანდრო თამაზიშვილი, სანდრო გოცირაძე, მქები შანშაშვილები, მმ. ბროძე, წოფიანოვი, გიგო სულხანოვი, ყარავევი, მუხრანსკი, ჩომასოვი (ქაღების რაფს თამაშობდა, ახლა მღვდლად არის), კოლა გალუსტოვი, ილიკო წითლიკვი, გუდაშვილი, ეპიტაშვილი, იავორს ანდრიაშვილი, შალა-

დაშეილი, თავადი ბესო ივალიანიშვილი და სხ.

სტენის მოყვარეთა ეს წრე დრო-გამოშვებით მართადა შინაურ წარმოდგენებს და ბოლოს დაიშალა: ზოგი ქართულ თეატრში შევიდა, ზოგამს სულ თავი დაანება და ამით შესწვდა ამ ხანებში წარმოდგენების მართვა.

1884 წ. ისევე განხლდა კერძო სხსლებში წარმოდგენების მართვა. იმართებოდა ავჭალის ქუჩაზე, გარანტაციის სხსლში, დათიკა აწუურელის თასნობით, სვადე მონაწილეობდენ: ქ-ნი პუთხუზი (ხინა გამურელიძის), ბ-ნი ა. ადამიქი, გიგო გეღეიანიშვილი, ვიკტორ გამურელიძე.

ამვე დროს ადამ ადამიქის თასნობით გაიმართა ჩუღურეთში, ბუჯიაშვილის და ადამიქის სხსლში, 5 წარმოდგენა შაქრო სიფარავის, ვანო მჭედლიანიშვილის და დარო რჩეულიძის მონაწილეობით. ამვე ადამიქის თასნობით კუკიაში გაბიტციის სხსლებში გაიმართა რამდენიმე წარმოდგენა; დაიდგა: „არსენა“, „მათიკა“, „ბაიუში“, „ცოლი ვიტირო თუ ფული“, „უმხვა ზარბაზი“, „ცოლ ქმრობის წინააღმდეგ“, „ადოკატე შელაძე“ და სხ.

ამ გამართულ წარმოდგენების შემდეგ ეს წრე დაიშალა.

გ. ჯაბაური

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქუთაისისათვის დასი შეადგინოს საუკეთესო ქართველ მსახიობთაგან და მის ხელმძღვანელოდ გამოცდილი, ნიჭიერი და ცნობილი რეჟისორი მოიწვიოს. განზრახვის სასრულდემი მოსაყვანად გამგეობა ამითიფე შეუდგა თბ. დრამ. საზ-ის გამგეობას და სხვადასხვა ქართველ მსახიობებთან მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას. — გამგეობის სიფხოზლე და მუყაითობა გვეჯერა ნაყფს გამიოიღებს და მომავალ სეზონისათვის ქუთაისის ისევე ექნება ქართული წარმოდგენები, მარა კითხვა შემდეგშია: როგორ დაფასებს გამგეობის შრომას ჩვენი მცონარე ინტელიგენცია? — ჩვეულებრივ ძველებურ დიდებრობას გამოიჩენს, თავის მალდ ყურადღებას ქართულ წარმოდგენებს მოაკლებს — „მომპოლიზირს“ და კლუბში მაუდიან მაგიდებთან ჯდომას ირჩევს, თუ ბეჯითი ყურადღებოთ მოეპყრობა სამშობლო სცენას, ქართულ წარმოდგენებზე იგლის და მით დიად ეროვნულ საქმეს ზნეობრივ და ნივითერ დახმარებას აღმოუჩენს?! — აღდგომა და ხვალეო! — მომავალი სეზონი გვიჩვენებს გასული წლის შერცხვენამ მცონარე და გულგრილობით მოცულ ინტელიგენციას ასწავლა რამე თუ არა?!

ილია ბახტაძე



ს ა მ ზ ა დ ი ს ი

(წერილი ქუთაისიდან)



თეატრის საჭიროება თელავში

მომავალ სეზონისათვის ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობა უკვე სამზადისს შეუდგა, როგორც წინადაც აღენიშნე (იხ. „თ. და ც.“ № 2), ერთი წლის განმავლობაში ქუთაისი, ეს ქართველებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქი, ქართულ წარმოდგენებს მოკლებული იყო და ეს მაშინ, როდესაც ქართული წარმოდგენების საქმე იმავე წლის მიმდინარეობაში გაჩაღებული იყო ლანჩხუთსა, სოხუმსა, ოზურგეთსა და, ქუთაისთან შედარებით, ძალზე მცირე რიცხოვან ქართველებით დასახლებულ ბათუმსა და ბაქოში.

ამ ყამდ წამხლარი საქმის გამოგვარებას შეუდგნენ ჩვენი თეატრის მესვეურნი. ქუთაისის დრამ. საზ-ის გამგეობას განზრახვა აქვს

ამ ბოლო დროს, არა თუ ზრფინციის ქალაქებში, არამედ სოფელ-დაბოებშიც ბევრით გაესწრეს თელავს. სულ მიურეუთელ ადგილებში, სადაც ინტელიგენტთა რიცხვი თითუბზე ჩამოთვლებს, საკუთარი თეატრი მოეპოვებათ, რითაც ხელი ეწყობა წარმოდგენების და სხვა გასართობ სადამოების მართვას.

თელავშიც ამის მკვარა არაფერი მოეპოვება და თუ საზოგადო საკრებულოს ერთადერთი დარბაზი არა, წარმოდგენების გამართვა შეუძლებელი იქნებოდა თელავში. ამ საკრებულოს დარბაზში სცენა-იც გამართულია, მაგრამ ხელის შექმნელი პირობები ბევრი უდობება წინ. ჯერ ერთა საჭირო დეკორაციები არა, მთელი ზეის სმირად ერთსა და იმავე თასნში მიმდინარებას და მისა შედგვას მხოლოდ დეკორაციების კედლების მობრუნებაში გამოი-



სტეპა. სტენის მოწოდებაზე თქირიღ მეტია და ეს არც მოეთხოვებათ. მაგრამ სხვა, ხელის შემშლელი, ზიარობები ბუერია, მაგ. რეპუტიაციისთვის დღეები და დრო განსაზღვრულია და მხოლოდ რამდენიმე დღეს აძლევენ იქ შეკრების ნებას. თუმცა, უნდა დაუშვით, არც ისე საკვირვებელია, — სარეპუტაციო წყევრები ამოებენ: დაბაზი ჩვენ გვინდა და თუ საჭიროებაა, ცალკე თაქტი ააშენეთ, თითქმის ამის მოქმედანი თელავის სასოკადობის წყევრებს არ შეადგენდნენ...

ამ კარგეობას კიდევ შუერთდებიან და ურიკდებიან-კიდევ, მაგრამ აქ სახალხო წარმოდგენების გამართვა შეუძლებელია და ამისთვის ამას არც ადგილი აქვს თელავის ცნობრებაში, რაც დიდ სკვლავს უნდა ჩაითვალოს. ამ მხრივ თელავი წინსვლის მაგეურ უკან იხვევს. ამ 10—15 წლის წინედ თუ შედგომე არა, დროკამოშებით მანც იმართებოდა სახალხო წარმოდგენები და მშრომელ, ქალაქის მდებობით მუშა სახლს შეძლება ეძლეოდა წარმოდგენების ნახვისა. მაშინ სომეხთა საქმე-მოქმ. ს.ზ. თელავის განყოფილებას აქ თაქტი ჩქინდა მოწოდებით, სადაც ასეთი წარმოდგენები იმართებოდა, შემიძებოდა თაქტი გააუქმეს და სახალხო წარმოდგენების მართავდ მინახოს.

დაიდა, სახალხო წარმოდგენების გამართვისთვის უმთავრესად საჭიროა შენობა და ეს უკანასკნელი რომ არ მოგვეპოვება, სახალხო წარმოდგენების გამართვაც შეუძლებელი ხდება.

რასაკვირველია, ქალაქის თეიმომართველობის მოკვლეობას შეადგენს იზრუნოს თვის მცნობრებოთ კეთილდღეობისთვის და მათ გონების საზრდოს მიცემა-განხილარებას ხელი შეუწყოს, მაგრამ აქნება მკითხველს მოუხსენებლავს კიდევ, რომ ჩვენს ქალაქის მამები მარტოდ მარტო ეროვნულ განხეთქილებაში იხუნენ უნანს. ან-კი რა ზრუნვა მოეთხოვება იმ ქალაქს, რომელიც 20—30 მან. არ იმეტებს საკვიარო სკოლისთვის, ურამდისოდაც იგი იმეტება.

დაიდა, სახალხო წარმოდგენების გამართვის უმთავრესად ხელს უშლის თაქტირის უქონლობა. შეიძლება ამაზე მინახუნონ საქმე სკოლაგების ძალაჯ. ი. სტენის მოყვარები არიან. ეს ძალა თელავში არის და შესაძლებელია მისი ამოქმედება-გაძვირება, მაგრამ ამაზე შემიძებ.

დავიწყებული

წ ვ რ ი ლ ი ა მ ბ ე ბ ი

სამოშოლოში

➤ **ქართული თეატრის რევისორებს**, მ. ქოლოლსა და ალ. წუწუნავას, განუზრახავთ მომავალ სეზონში დასადა ქართულ მწერალთა (ალ. ყაზბეგის და დ. კლიაშვილის) ნაწარმოებთა ინსცენიროვაცა.

➤ **ახალი მოწვეული რევისორნი** მ. ქორელი და ალ. წუწუნავა უკვე შეუდგნენ მომავალი სეზონისთვის მზადებას, ძირითადი რეპერტუარი შეიმუშვეს და რამდენიმე პიესის მთავარი როლები გაანაწილეს.

➤ **ქართულ თეატრში** ახალი პიესების ი. გვედევანიშვილის მეორე ნაწილი „სინათლის“ და შ. შარაშიძის „ავგაროზის“ ესკიზები მუშავდება.

➤ **მომავალ სეზონში**, სხვათა შორის, დიდგემის: ი. გვედევანიშვილის „სინათლ“-ს გაგრძელება (მეორე ნაწილი), „შალვა შარაშიძის ახალი ორიგინალური პიესა-ზაპარო „ავგაროზი“ ალ. შანშიაშვილის „ივერიკო“ და „მეფე-მგოსანი“, უცხო მწერალთა: და აიუნციოს — „ჯიკონდა“, პშიბიშვესკის — „თოვლი“, და „საუბუნო ზაპარო“, იბნენის — „ნოა“ და „ექიმის შტოკმანი“, მ. გორკის — „უკანასკნელი“.

➤ **თბილ. ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობამ** მომავალ სეზონისთვის წინად გამოცხადებულთა გარდა მოიწვია ქუთაური მსახიობი პლ. კორიშვილი, ქ-ნი ს. ბუენიშვილი, სახალხო სტენის მოყვარე ბ-ნი ჭიაურელი.

➤ **ქართ. სტენის მოღვევთა პირველ ურილობაზე** დასასწრებლად მომსწვენი ბართები უკვე დაუზგაუნა ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობამ დრამატ. საზოგადობათა წრეებს, სტენის მოყვარეთა ჯგუფებს და სხვა კულტურულ დაწესებულებათ. ყრძო პირთ მოსაწვენი ბართები არ გაგზავნებთ.

➤ **მსახიობთა სიაში** (იხ. „თ. და ც.“ № 9) გამოჩრჩენილთა: ქ-ნი ან. ჩირვაძე, ი. აპტალიდი, ბ. ბერიშვილი, ს. ზურციძე.

რუსთა შორის

➤ **მოსკოვის პატარა თეატრზე** მიზნებულ დეკორაციათა საწოდებ, სანაქნო განყოფილებასა დამოსამსახურეთა ბინებს 2 მისის დილით ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა ბალეტისა და სარეპერტუარო ოპერეტის ყველა დეკორაციები.

შ ო ს ტ ა

ბაქო. ს-ს. დაიბეჭდებ. გამოგვიგზავნეთ „დრამ. საზ-ის დაარსების“ შესახებ წერილი.

ბრიუსელი (ბელგია). **დ. კ-ს.** ავტორის ნებართვა „სინათლის“ ფრანგულად გადათარგმნის შესახებ უკვე გამოგვგზავნეთ. გვგზავნეთ მოთხოვნის პიესებიც. შეპირებულ წერილს ველით.

ლუგანი (შვეიცარია). **გ. ჯ** — ს. მივიღეთ. დაიბეჭდება. საჭიროა შესაფერი სურათები.



იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით. ჟურნალში დაიბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დანახიათბანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი. ჟურნალს საკანგებო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰქვავს რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი შიგნობანნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, პოეტნი და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად—5 მ., (წლის დამლევაზე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ. თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელისმოწერა მიიღება: ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში და იოსებ იმედაშვილის („სორანისი“ სტამბაში) დილით 10—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифლის, რედ. ჟურ. „Театри да Цховреба“ Иосифу Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდა განცხადებანი შიადება აქვე. ტელეფონი № 15-41

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთ.

წელიწადი **თეი** წელიწადი
 მეოთხე მეოთხე

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
 ბამოლის ორშაბათობით

წლიურნი ხელის მომწერენი მიიღებენ 2 საბუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება აქაქის პოემა „რაჭა-ლაჩხუმი“, რაკა-ლეჩხუმში მოსი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) ნ. ა. დუბროვსკის თხზულებას „პაგუსტ ბაბაილი“, რომელიც საკუთრად „თეი“-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თეი“-ს რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძის, № 4).

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტრა ღია ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 სათამდე.

მისამართს გამოცემა თბილისს გარეუკე 40 კ. მისამართი: Тифლის, Ольгинская № 4, დ. Диасамидзе, редакция газ. „Теми“.

რედ.-გამომცემელი გრ. დიასამიძე

იმაერთი ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტ გაზეთი

ახალი რედაქციით და თანამშრომლებით
 წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით 4 აბაზი, ცალკე ნომერი—5 კ.

საზღვარ გარედ წლიურად—15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფსო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
 მისამართი: Кутаись, რედ. газ. „Имерети“.

რედაქტორ-გამომცემელი გ. კეილიძე

ბამოლის ჟურნალში 3 მარტიდან ორშაბათობით

ურომა

სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.

რედაქცია: გიმნაზიის ქ. 3. ფერაძის ლა 5. კარანუხოვის სტამბის სადგომში.

გაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаись, რედ. еженед. груз. газеты „Шрома“.



პეჩივი ა. ო. იაშვილი
 (თბილისის საქალაქო 1-ლ ნა-
 წილის მკურნალი)
 შინაგან ჯვადმყოფობათა.
 დილით 8—10 ს., საღამოთ 5—7 ს.
 წყნეთის ქ., № 19.

პეჩივი ა. ნ. დინასიძე
 (ორდინატორი თბილ. სარკინის
 გზო საავადმყოფოსი)
 კანის, ვეპერეული და ათაშანგის
 შუადლით 1—2 1/2 ს., საღამოთ 6—8 ს.
 მოსკოვის ქ. № 4.

პეჩივი ივ. ზ. გომარეთელი
 შინაგან ავადმყოფობათა
 დილის 8—12 ს.,
 საღამოთი 5—7 ს.,
 ოლგას ქ., № 20,
 ტელეფონი № 6—33.

პეჩივი ალ. სოლოღაშვილი
 კიბილის ექიმი
 იღებს ჯვადმყოფებს
 დილის 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
 გოლოვინის პრ., № 12

ხელოვნურად სამკურნალო და
 შეზავებული ხილეულობის წყალი

პეჩივი ვ. ღ. ღამბაშიძე
 შინაგან და ბავშვთა ჯვადმყოფობის.
 ვარდის უბნის ქ. № 9.

მეტროფანე ლალიძე დ. ა.
 მზადდება საუკეთესო ხილეულის წვეწისაგან. წმინდა შა-
 ქარით, კიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდი-
 ლი და ნადული წყლით.
გამო და სუნი საამური აქვს

პეჩივი ვ. ვ. მაღალაშვილი
 შინაგან ავადმყოფობათა
 დილით 8—10 ს.
 ოლგას ქ. № 39.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსების-
 თვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობი-
 ლია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურ-
 ნალო მმართველობისაგან (№ 5792)
 ქარხნები იმყოფება; თბილისში—გოლოვინის პროსპ.
 № 6, ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.
 (10—10)

პეჩივი ნ. მ. თიქაძე
 (თბილისის საქალაქო მკურნალი)
 შინაგან სნეულებთა
 დილით 12—1 ს., საღამოთ 5—6 ს.
 კიროვნი ქ. № 18.

პეჩივი შ. ა. მიქელაძე
 შინაგან და ბავშვთა ჯვადმყოფ.
 საღამოთი 6—7 ს.
 მიხეილის პროსპ. № 117 ტელეფ. 8—16



პეჩივი ვ. ვ. ნათიშვილი
 კანის, ვეპერეული და სიფილისის
 დილით 11 1/2—1 ს., საღამოთი 6—7 ს.
 მონუშენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.



პე. ვახტანგ ღამბაშიძის
სანატორიუმი
 პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე
 ძალ-ვაჟთათვის 8—5 წლამდე
 დაწვრილებით პირობები მსურველთ
 გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნი-
 ლებისათნავე.
 მისამართი: თბილისი ექ. ვ. ღამბაშიძე
 ვარდისუბნის ქუჩ. № 9
 (წ.)

Воспоминанія
 И
 ХАРАКТЕРИСТИКИ
 Г. М. ТУМАНОВА
 В 3-хъ вып. Цѣна кажд. вып. 75 к.
 Складъ у автора, Вятинская № 6.
 (5—4)